



ზოგადქართული (ქართველური) სპორტმედიცინა და ქართველური ფიზიკური აღზრდა

ათონელეებს, რუსთაველებს, აბუხერიძეებს, პეტრიაშვილებს, გურამიშვილებს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ვალაყიონის, ვაჟახიშვილებს გამსახურდით...

ზოგადქართველური და ზოგადეროვნული-სახელმწიფოებრივი ფუნქციონირება ქართული ხალხთა ცხოვრებას უნდა ხელშეწყობდეს... 11 საუკუნეში... ზღვრისა და თვითმართვის... და ზღვრის გაუფრთხილებს... უკანასკნელ ვაჭრობაზე უნდა მივიღოთ, ვინაიდან საქართველოს დაქვე...

მაკედონ მოხურნები ამავე მიზნით აქტიურად მუშაობენ საქართველოს სხვა ძირძველ კუთხეებშიც... აქვე აღვნიშნავთ, რომ მეცნიერით, მწერლით და წყევლებით მოწაფით დამთავრებული, ყველამ თვა...

ლისინიციით უნდა გავუფრთხილდეთ სხვანეთში, სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში, ტაო-კლარჯეთში, სიანგილოში და საერთოდ, საქართველოს მთიან თუ ბარში დაუნჯებულ ხალხურ...

მარგალიტებს—სიტყვებს, ფრაზებზე, ეროვნულ ფორმებს, ხალხურ ლექსს, ზოგადად ფოლკლორს, ჩვეულებრივ იმის, გამოვიყენოთ მწერლობაში და შეძლებისდაგვარად, გავაცნოთ ისინი ახალ თაობებს...

ამასთანავე, ჩვენმა მეცნიერებამ ნათლად უნდა აჩვენოს ქართველთა ცალკეული დიალექტებისა და ზოგადქართული ხალხთა ცხოვრების ურთიერთმიმართება, ხოლო ხალხმა კარგად უნდა გაიაროს დიდ წინაპართა ენობრივ-სახელმწიფოებრივი ღვაწლი, ვინაიდან, როგორც ვხედავთ, ჩვენი ავსტრალიური პრობლემები ახალი არ არის... მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ცნობიერად ვიქნებით მზად თავდაცვისათვის და ქართველთა გვექნება მომავალი...

-გვწამდეს ქართულმა და ქართული ენა!

ბოლო ხუთი წელია, სექტემბრის თვე იმერეთში განსაკუთრებით გამოირჩევა: ყოველწლიურად, 21-27 სექტემბერს აღინიშნება დღეები „ღვთისმშობლიობიდან ჯვართამაღლებამდე“. რომელთა უმთავრესი მიზანია ისტორიისა და რელიგიური დღესასწაულების პატივსაცემად, საიუბილეო დღეების აღნიშვნა, ერთმანეთისადმი თანადგომა, მადლიერება. საღვთისმშობლიური დღეები ვაჭრობისა და საქმიანი შეხვედრებითა და შეხვედრებითი ღონისძიებებით.

წლებიდან წლები საიუბილეო დღესასწაული იმერეთში თორიდან წლები იზიდავს.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო იმერეთის დღეებს—„ღვთისმშობლიობიდან ჯვართამაღლებამდე“—დაუწყებია „ანბანის მეჭლისი“, რომელიც...



მელიც 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს, დავით აღმაშენებლის ძეგლთან უნდა გამართულიყო. გათვალისწინებული გეგმით, ჯვართამაღლებისათვის სიმბოლურად დაგეგმილი ანბანის ამალგა, რომელიც ორიგინალური ფორმით იყო შექმნილი, მაგრამ... 27 სექტემბრის წვიმიანმა დღემ მეჭლისის მომლოდინეები „გააწილა“... ზეიმი რამდენიმე დღით გადაიდო... მხოლოდ 3 ოქტომბერს, თბილ და მზიან დღეს, მოგვეცა შესაძლებლობა, ჩვენს ანბანს კიდევ ერთხელ მოვეფრთხილოთ.

კომპოზიციები, რომელთა თემატიკა მრავალმხრივ საინტერესო და შინაარსიანი იყო. ზეიმი სხვადასხვა სკოლის ინდივიდუალური შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ. ყველა მათგანს გადაეცა ორიგინალური საჩუქარი: ქუთაისის ენის სამმართველოს სახელობითი ავტოკალამი წარწერით „ერის დიდება და ცულ არს ენით!“

მეჭლისის დროს თანაქალაქელები საოცრად ლამაზი სანახაობის—ანბანის სიმბოლური ამალგების—მომსწრენი გახდნენ: 33 პატივსაცემი ანბანთან ერთად ზეცისაკენ ანარჩარდა, სივრცეს დაეუფლა. საპაერო ბურთებმა საგალობელთან და შეძახილებთან „დედაენა, დედაენა“ ერთად ჰარმონიული ამალგებული განწყობილება შექმნა.

ზეიმი გაალამაზა საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვასთან დაკავშირებულმა აქციამ. თანაქალაქელებს დაურეგდათ სამსახურით ფერადი ბარათები, რომლებზეც აღბეჭდილი ტექსტი კიდევ ერთხელ გვახსენებს: „**ინც ქართველობს, სწამს ქართველობა, იმას აუცილებლად უნდა სწამდეს ქართული ენაც.** იკითხოს, ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, პირუთვნელად ჩაუჯივრდეს მას და ნახავს, რომ ის სხვა, მასზე უკეთ პატენტდება უნდა არც სალაპარაკოდ, არც შეცნობილად და არც სასიმღეროდ არ ჩამოუჯივრდება. ხოლო ჩვენ კი ყველას გვმართებს, ამ მხრივ სწორი და გასაყვლი პრინციპით დავიცვათ ქართული ენა, გავამაგროთ, გავალამაზოთ და წინ წავიწიოთ იგი, რადგან ჩვენი ენა არის ის უნიკალური ენა, რომელიც თან ატარებს ქართველი ერის არსებობას!“

ანბანის მეჭლისი ლამაზ მოვლენად დაჩა. იმ დღეს ნამდვილად იგრძნობოდა, რომ მხოლოდ ერთად, ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ, ვიყოთ ჩვენი ენის დაცვითი ტრადიციების დაცვითი გამგებლები. **ქეთევან ყურაშვილი**

ბატონი პოლიკარპე

90

ქალბატონო მარინე, ინტერესით ვისმზრდით ბატონი პოლიკარპეს მოწვევების გამოსვლას, რომლებიც მოწვევით საუბრობდნენ მასზე, როგორც პირველბა და მეცნიერზე. სამწუხაროდ, სტუდენტთა ახალმა თაობამ მცირედით არ იცის მის შესახებ (ან საერთოდ არ სმენია) და საიტერესო იქნება, ჩვენ და გაზეთ „ქართულის“ მკითხველებს კიდევ ერთხელ გვიამბოთ მის შესახებ.

მარინე ქაცარავა—დიდი მადლობა, რომ თქვენს გაზეთს ასეთი სურვილი გაუჩნდა, რამეთუ წინაპართა გახსენება, მათი ღვაწლის დაფასება აუცილებელია, მით უმეტეს, ჩვენს დროში, როცა ასე გაცივდა ურთიერთობები, როცა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (მადლობა ღმერთს, ალბათ, მცირე ნაწილი) მოიცვა ნიპილობა, კოსმოპოლიტიზმმა, წარსულისადმი უპატივცემულობამ.

დაახ, 25 სექტემბერს ჩვენ პატივი მივაგეთ ბატონ პოლიკარპეს ხსოვნას. ეს დღე ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში გამორჩეულ დღედ აღინიშნა.

ბატონი პოლიკარპეს მიმართ ჩვენი და წინა თაობების დიდი სიმპათიები განსაზღვრა მეცნიერისა და აღმზრდელის აუცილებელმა თვისებებმა, სტუდენტებისადმი თავმდაბლურმა სიფრთხილემ, სათნოებამ, მომთხოვნელობამ.

ბატონი პოლიკარპეს გვერდით ყოველთვის ურთიერთგაგების ატმოსფერო სუფევდა. მან მშვენიერად იცოდა სხვათა აზრის მოსმენა, ხოლო მის მიერ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტილება და განსჯის შედეგად ხდებოდა. ბატონი პოლიკარპე სრულიად ახალგაზრდა გაიწვიეს ომის ქარცეცხლში, მონაწილეობდა უმძიმეს ბრძოლებში, დაბრუნდა ვალმობლი და განაგრძო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ძველი ქართული ენის გრამატიკას, ასევე დიალექტოლოგიას ბ-მამ პოლიკარპე ჯაჭანიძემ მნიშვნელოვანი გამოკვლევები შესძინა: „ზნანთა პირველი სერის ფორმების წარმოება სამოციქულო ძველი თარგმანის მიხედვით“, ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმში დაცული მასალების ენა, „გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში“, „გურული ტექსტები“, „აჭარულის ლექსიკონი“ და ა. შ. ჩამოთვლა შორს წავიყვანს.

ვის ტრადიციებს ვითარებდა ბნი პოლიკარპე მეცნიერებაში და როგორ ხდება მისი შექცევისთვის

2000 წლის 25 სექტემბერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დარბაზში ჩატარდა საიუბილეო-სამეცნიერო სესია, რომელიც პროფესორ პოლიკარპე ჯაჭანიძის დაბადების 90 წლისთავს მიეძღვნა. ვესაუბრებით ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ქალბატონ მარინე ქაცარავას.



გვარძელება ქართული ენის კათედრისა და ოჯახში?

მ.ქ.—ბატონი პოლიკარპე აკაკი შანიძის ასპირანტი იყო. ომამ დროებით შეაჩერა მეცნიერის მუშაობა „საქმე მოციქულთას“ ვარიანტებზე. ეს დავლება აკადემიკოს აკაკი შანიძის მიერ იყო მიცემული. ოჯახის ცნობილი აკადემიკოსი წერილებს უგზავნიდა, ამხნევებდა, კითხულობდა თავისი ასპირანტის ამბებს. მათი ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდა. ბ-ნი პოლიკარპე თავისი ნაშრომებით მუდამ იმსახურებდა მოძღვართმოდვარის შექმნას, გამხნევებას. დღეს ბატონ პოლიკარპეს საქმიანობას აგრძელებს მისი ქალიშვილი, დოცენტი ნარგიზა ჯაჭანიძე—უღარესად გაწონასწორებული პიროვნება, დაკვირვებული მეცნიერი, შესანიშნავი პედაგოგი. 15 წელი იგი იყო დეკანი მეთოლიკათა ფაკულტეტისა, ამჟამად მეთოლიკათა კათედრის გამგის მოადგილეა. ბ-ნი პოლიკარპე და ქ-ნი ნარგიზა არა მარტო მამა-შვილი, კოლეგებიც იყვნენ, იყვნენ მეგობრები. მე არ შემიძლია არ გავიხსენო ბატონი პოლიკარპეს გარდაცვალების დღე. ეს იყო 1977 წლის 1 სექტემბერი. პროფესორმა იმ დღეს პირველად და უკანასკნელად გააცნა ლექციები. საავადმყოფოში წავიყვანეს მძიმე ავადმყოფი. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მოაზროვნემ მხოლოდ ნარგიზას დარჩენა ისურვა ოთახში. ეს იყო საუბარი-დარიგება, როგორ უნდა ეცხოვრა კოლეგა-ქალიშვილს. აქვე მინდა დავძინო, რომ

მისი ვაჟი ბერდია და რძალი ლილი შეანგირაძე, ამ ტრაგედიით გაოგნებულნი, ბოლომდე არ იგრძნობდნენ სახელოვანი მამის სიკვდილს და თავიანთ სისხლს უსხამდნენ თითქმის მომაკვდავს, რათა რამდენიმე საათით გაეგრძელებინათ მისი სიცოცხლე, დღეს მათ დიდ ოჯახში სიცოცხლე გრძელდება, გაჩნდნენ შვილიშვილები, შვილთაშვილები, მისი შვილთაშვილი ბერდია ძიგრაშვილი ჩვენი უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტია. ვრძელდება ბატონ პოლიკარპე ჯაჭანიძის სიცოცხლე.

ბევრი გვსმენია ქართული ენის კათედრის სახელოვანი ისტორიის შესახებ ძალიან საინტერესო იქნება, თუ თქვენ და თქვენი კათედრის წევრები საკუთარი გადასახედიდან დავანახებთ წინა თაობის ლექტორ-მასწავლებლებს.

მ.ქ.—მართლაც, საბედნიეროდ, ბუნებამ შესაშური გულუხვობა გამოიჩინა ქართული ენის კათედრის მიმართ. აქ თავიდანვე თავი მოიყარეს ნიჭიერმა, ენერგიულმა, თავის საქმეზე შეყვარებულმა ადამიანებმა. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი კათედრის ისტორიას, საამაყო, თავმო-საწონებელი ბევრი გვაქვს: 1933-1958 წლებში კათედრას სათავეში ედგნენ საენათმეცნიერო სკოლის უდიდესი წარმომადგენლები, აკადემიკოსები: არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, სერგო ქლენტი, გიორგი როგავა. ასევე, ლექციებს კითხულობდნენ აკადემიკოსები: გიორგი აბგლეღია, აკაკი შანიძე, შოთა ძიძგაური, ანტონ კიზირია, გრიგოლ იმნაშვილი. მალე გამოვლინდნენ ქუთაისელი ნიჭიერი ენათმეცნიერები: ქეთევან ძოწენიძე, პოლიკარპე ჯაჭანიძე, მიხეილ ალაიძე, კლარა კუბლაშვილი და სხვანი.

მე იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი გაზეთით საშუალება მოგვეცემა დანტერესებულ მკითხველს გავაცნოთ ჩვენი სახელოვანი მასწავლებლები. **ინტერვიუს უძღვებოდა ლია რუსაძე**

ზვან, ენა, ჯა, ქანა

და კიდევ უბოძო!

საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფო ენა არის ქართული სალიტერატურო ენა. აქედან გამომდინარე, ქართული ენის იურიდიულ სტატუსს სახელმწიფო იცავს. მაგრამ მართო სახელმწიფო ვერას გახდება. საჭიროა ყოველი მოქალაქე პირუთვნელად ემსახურებოდეს ამ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ საქმეს.

თუ თითოეული ჩვენგანი გულახდილად ჰკითხავს საკუთარ თავს, რას აკეთებს იგი მშობლიური ენის ზეობისათვის, ვფიქრობთ, პასუხით მეტად ცოტანი დარჩებიან კმაყოფილი. მიზეზი ჩვენი გულგრილობაა. საუბედუროდ, მივეჩვიეთ კანონის ძალით აღვასრულოთ ის, რაც ჩვენი ადამიანური თუ მოქალაქეობრივი ვალია.

პრობლემა თუ ჩავუღრმავებთ, დავინახავთ, რომ მცირეოდენი გულისხმიერება და რადიოსა თუ ტელევიზორიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან და

ჩვენი ქალაქების ქუჩათა აბრა-რეკლამებიდან სა-მუდამოდ გაქრება ყველა ენობრივი შეცდომა.

მიუხედავად არა ერთი მითითებისა, სიუჟეტის, წერილისა თუ პუბლიკაციისა, კვლავ და კვლავ ვხვდებით ძვირადღირებულ, მაგრამ უწიგნურ რეკლამებსა და აბრებს, სამწუხაროდ, მაგალითები მრავალია. არერთგზის თქმულა, რომ „იაფი აფთიაქი“ შეცდომაა და საჭიროა მისი შეცვლა. ნუ-თუ დიდი გონიერებაა საჭირო მიხედვ, რომ იაფი აფთიაქი კი არა, წამლების, მედიკამენტთა ფა-სები?! ან არ უნდა იყოს სამარცხვინო ჩვენი „შენიშვნებზე“ ამგვარ აფთიაქთა მესვეურების გაუ-თავებელი ცრუ დაპირებები?! ვფიქრობთ, არა მარ-ტო სამარცხვინო, შეურაცხყოფელიცაა.

ასევე მრავალჯერ თქმულა და დაწერილა ე.წ. „საავტომობილო ტერმინებზე“. ვერა და ვერ ვის-წავლეთ, რომ ავტომრეცხი და ავტოსამრეცხო

კომპოზიტები და ერთ სიტყვად უნდა დაიწე-როს; ვერა და ვერ შეველიეთ „სიღინების შეკე-თებას“; არც „გაზომედლებზე“ გვსურს გავასწო-როთ მართებულად—გაზომელებზე.

ჩვენი ქალაქის ქუჩებში ყველა შეამჩნევდით წა-წერას „გაზირებული წყლები“. რა თქმა უნდა შეცდომაა, კალკია რუსულენოვანი „ГАЗИРОВАННЫЙ“-სა. ქართულად ჩვეულებრი-ვად ითარგმნება „გაზიანი წყალი“. რაკილი „წყლებზე“ ჩამოვადეთ საუბარი, აღვნიშნავთ, რომ უმჯობესი და მართებული იქნება, თუ ამ სიტყვას მხოლოდობით რიცხვში „წყალი“ დავწერთ. სხვა შემთხვევაში ხომ არ ვწერთ „ბუჩქები“ ან „ფესვაც-მელები“?!

კიდევ ერთი შენიშვნა: „სასკოლო-საკანცელა-რიო-საბუღალტრო ნაწარმი“. ასეთ შემთხვევაში საჭირო სიტყვა „საქონელი“. „ნაწარმი“ წარმოების, პროდუქციის ცალკეულ სახეობას გულისხმობს. მაგალითად, „რძის ნაწარმი“, „ტყავის ნაწარმი“ და ა.შ.

ასევე შეცდომაა სიტყვა „სან-ტექნიკა“, როცა მას ტირით წერენ. იგი კომპოზიტი, რთული სიტ-

ყვა (სასანტექნიკო ტექნიკა) და სიუჟეტის წესი, ერთად, ამასთან ყოველგვარი ნიშნის გახიზნე უ-და დაიწვიოს.

კომპოზიტია „ჰეილიტაქსიონი“, ხომელ-საც ხშირად ცალკე სიტყვად წერენ. უბედურ-„ასლების გადაღებაზე“. ძალი უნდა გადაღებული პირობა. ქართულ ენაში მოვეჭოვება სიტყვით „დედანი“ (ანუ უცხოეთიდან „მოხიზნილი“) და „პირი“ (სავეე უცხოეთიდან „ასლი“) პიტონ, უმჯობესი იქნება, თუ ქართულად და მხოლოდოდ დავწერთ: „პირების გადაღება“ ან თუნდაც მხოლოდ „ჰეილიტაქსიონი“, ხომელაც თავისთავად გუ-ლისხმობს ზემოაღნიშნულ მომსახურებას.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ენობრივი შეცდომები ჩვენი უფულისყოფობა და გულგრილობის შედეგია. ყველა მივეჩვიეთ და გვერბი, რომ ეს შეცდომები მხოლოდ სალიტერატურო ენით დაინტერესებული ადამი-ანებისათვის არსებობენ. ვფიქრობთ, მათ ზიანი მოაქვთ ჩვენი ერთობისათვის, ასევე მათთვის და თითოეული ქართველის მომავლისათვის.

ირინე იანაშვილი

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით გა-მოცემულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გული რამდენიმე მნიშვნე-ლობით დასტურდება:

1. ადამიანის (ცხოველის) ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც ამოძრავებს სისხლს (გუ-ლის კუნთი);
2. რაიმე სივრცის, საგნის, ნივთის, ხილის და ა.შ. ცენტრალური ან შიგნითა ნაწილი (დედამიწის გული, ქვეყნის გული, კვერცხის გული, თხილის გული, ხელის გული);
3. ბანქოში კარტის ერთ-ერთ სახეობა (წითელი ფერის გული);
4. გადატანით: ადამიანის აზროვნებით პროცესთა, განცდათა, გრძობათა და განწყობილებათა ცენტრი-სიმბოლო (შდრ: გულში გაიფიტრა; კეთილი გუ-ლი; გულბოროტი, გულისყური, გულ-კერპი... გული ატკინა; გულით უნდოდა; გული არ უდგება; გული გაუტყდა; გუ-ლი მოუკვდა, გულის სწორი; გულში ჩაიდო, გული გადააყლა...).

დაა შემონახული, ზოგიერთი კილოში იგი მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებით გვხვდება, ზოგან კი გააქტიურებულია მისი რომელიმე სემანტიკური ნიუანსი (მნიშვნე-ლობა); კერძოდ, მეგრულ კილოში გვაქვს გური (←გული), ქანურში—გუი (←გუ-რი←გული); სვანურში კი გვიდასტურდება გუი ვარიანტი.

ყურადღებას იქცევს მეგრულ და ქანურ დი-ალექტებში დადასტურებული ზმნა დიგუ-რუ || დიგურუ „ისწავლა“. გურ-აფა, სწავ-



ლა, შდრ.: გულ-ებ-ა) შდრ.: ლაზური ღო-ვ-ო-გურ-ამ—„გასწავლი“ (ზ. სარჯველაძე, 3. ფერისი)... აშკარაა, რომ „დიგურუ“ ფორმა მიღებულია ლიტერატურული დიგულა ფორმისაგან:

ღ-ი-გულ-ა—ღაიგულ-ო—ღეიგურ-ო—ღი-იგურ-უ სემანტიკური გადაწვევაც თვალსაჩი-ნოა:

დაიგულა—გულში ჩაიდო || თავისად ჩათ-ვალა || თავისად მიიჩნია—გაიგო—ისწავლა. ლაზურში სიტყვა გურ-ონ-ი „კეთილს“ ნიშ-ნავს; საფიქრებელია, რომ გურ-ონ-ი (შდრ.: გულ-იან-ი) „ნასწავლსაც“ უკავშირდებოდეს... ამ თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე,

სიყვეფნი პირობაში იხე ენის მისეველიცენი

ძველ სასულიერო მწერლობაში დადასტუ-რებული სიტყვა გულისგმა || გულისგმა, რომელიც ნიშნავს „სიბრძნეს“, „გონებას“; შდრ.: აგრეთვე, გულისგმაყოფა—„სიბრძნე“, „მეცნიერება“ (ილ. აბულაძე)...

თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც აქ-ტიურია გულისგმა-სთან დაკავშირებული სიტ-ყვები, ოღონდ ცოტათი შეცვლილი მნიშვნელობით: გულისგმა—„მიხვედრა“, „ქკვა“, „გონება“; ივარაუდა, გაიფიტ-რა; შდრ.: საგულისხმო-საყურადღებო. ამასთან, საინტერესოა, აგრეთვე, ხე-სურული გულ-აგ-ს—„ბრაზდება“, შდრ.

გაგულისდა და გული მოიფხან... სვა-ნურშიც გვაქვს ანალოგიური წარმოება: გულანგაღ—„გულს მოუვიდა“—აქ „გულს მოუვიდა“ ნიშნავს: „გაიგო“, „მიხვდა“... შდრ. თუშური „გულად გასვლა“—„მიხვედრა“ (თ. უთურგაძე) და ძველი ქართული: მომიგდა გულსა—აზ-რად მომივიდა (არნ. ჩიქობავა); აშკარაა, რომ სვანურს ძველი ქართული „მომიგდა გულ-სა“—ზუსტად შემოუნახავს.

გულ-თან დაკავშირებული კიდევ ბევრი (200-მდე!) ლიტერატურული თუ ხალხური სიტყვა-ფორმებისა და ილიომის გახსენება (თუ ლექსიკონში მოძიება) შეუძლია მკითხველს... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშ-კარაა, რომ ქართველი კაცის მიერ გული თავი-დანვე გააზრებულია, როგორც ადამიანის სუ-ლიერი, გონებრივი და ფიზიკური საყაროს ცენ-ტრი.

დასასრულს, გულთან დაკავშირებით გათავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ქართველ

ბოეტა ლექსებიდან: „აჲ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელო-ვანება“ (6.1.)

„მან მისთა მჭკრეტა წაულის გული, გო-ნება და სული“ (33.3.)

„ტარიღი უთხრა: „მე შენი გული აჲ მემხურ-ვალების“ (196.1)

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლო-მელი,

გული—ეჲმ-ეჲმად ყოველთა ქირთა მთმო ლხინთა მნდომელი,

გული—ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამოზომელი,

ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატ-რონი რომელი!“ (709)

(შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“)

„განუღვენია გულიდამ ყველა— მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი.“

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, კარგ სანახაზე ნუ ხარ-თქო ხარბი!“

„სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებდა, გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...“

(ილია ჭავჭავაძე, „განდგომილი“)

„თვითონ ღმერთი, წამებული, შენ ერთს გწყალობს ისევე— მხოლოდ გულში განისვენებს,

მხოლოდ გულში ისვენებს. გული, სანამ გული გქვია, გული,

უნდა მტკიოდე, უნდა მტკიოდე, გული, უნდა მიერთგული, მიმევე

საიქიომღე.“

(შოთა ნიშნაძე, „გული“) ტარიღი უთხრა

სხვა ენები და ერები

ფრანგული ენა რომანულ ენათა ერთ-ერთი წარმომადგენელია (გალურ-რომა-ნული ქვეჯგუფი). იგი საფრანგეთის რეს-პუბლიკის, ბელგიის სამეფოს (ნიდერლან-დურ ენასთან ერთად), შვეიცარიის კონ-ფედერაციის (გერმანულ და იტალიურ ენებთან ერთად), კანადის (ინგლისურთან ერთად), პატივის, მონაკოს ოფიციალური ენაა. ამ ქვეყნებში ფრანგული მო-სახლეობის მთელი ან მნიშვნელოვანი ნა-წილის მშობლიურ ენად გვევლინება. გარ-და ამისა, იგი ოფიციალური ენაა ლუქ-სემბურგის დიდი საჰერცოგოსი (გერმა-ნულითან ერთად) და ანდორისა (ესპანურ-სა და კატალინიურ ენებთან ერთად). ერ-თადერთი ან ერთ-ერთი ოფიციალური ენაა აფრიკის ქვეყნებისა. ესენია: ბენინი, კოტდი ვუარი, ბურკინა-ფასო, გაბონი, გვინეა, ზა-ირი, კონგო, მალი, ნიგერია, სენეგალი, ტოგოლეზი, ჩადი, ბურუნდი, რუანდა, ცენ-ტრალური აფრიკა, მადაგასკარი; ინგლი-სურთან ერთად—კამერუნი, სეიშელის კუნძულები; არაბულთან ერთად—კომო-რის კუნძულების ისლიამურ ფედერაცია-

ულ რესპუბლიკა, ვიბუტი, ვანუატუ (ავ-სტრალია და ოკეანეთი). ფრანგულენოვანი მოსახლეობა არსებობს იტალიაში (ვალე-დაოსტა), აშერიკის შეერთებულ შტატებში (ლუიზიანა) და სხვა. ფრანგულ ენაზე მო-საუბრეთა რიცხვი დაახლოებით 95 მილი-ონ ადამიანს აღწევს. იგი გაერთიანებული

კოპროვანსული, რომელთაც შუაღვდური მდგომარეობა უჭირავთ ფრანგულსა და ოქ-სიტანურ ენებს შორის. შეიმჩნევა დიალექ-ტების მნიშვნელოვანი დაქვეითება და სა-ერთო ფრანგული ენის რეგიონალური მო-დიფიკაციების ჩამოყალიბება.

ფრანგული ენის ისტორია შემდეგ პე-

ფრანგული ენა

ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიცია-ლური და სახაუბრო ენაა.

ფრანგული ენის დიალექტები: ფრანსი-ული (ილ-დე-ფრანსის დიალექტი, თანამედ-როვე ფრანგულის ისტორიული საფუძვე-ლი), ჩრდილოური (ნორმანდიული, პიკარ-დული, ვალინიური-ბელგიაში), დასავლუ-რი (ანჟური, ვალური და სხვა), სამხრეთ-დასავლური (პუატევიანიური და სხვა), ცენ-ტრალური, სამხრეთ-აღმოსავლური ბურ-გუნდიული, ფრანს-ქონტიური, აღმოსავლუ-რი (ლიტარინგიული, შამპანური), ფრან-

რიოდებად იყოფა:

ვალურ-რომანული (V-VIII სს.), ძველფრან-გული (IX-XIII სს.), საშუაღვრანგული (XIV-XV სს.), ადრეულახალფრანგული (XVI ს.), ახალფრანგული კლასიკური (XVII-XVIII სს.) და თანამედროვე (XIX ს.). ძველფრანგულ ენას გააჩნდა სახელთა 2 ბრუნება, არ გააჩნდა ზმნისთვის აუცილებელი პირის ნაცვალსახელები, მქონდა სიტყვათა შედარ-რებით თავისუფალი წყობა და ა.შ. შუა საუკუნეებში შეიქმნა საერთოფრანგული სამწერლობო ენა. XVI საუკუნეში ყალიბდება

ნაციონალური ენა (1539 წლიდან—სახელ-მწიფოს ოფიციალური ენა). XVIII საუკუნეში მტკიცდება სალიტერატურო ენის ნორმები; XX საუკუნეში სალიტერა-ტურო და სასაუბრო ენას შორის მნიშ-ვნელოვანი დაშორებები შეიმჩნევა. ფრანგული ენის საფუძველზე აღმოცენ-და რამდენიმე კრეოლური ენა (მაიტი ლუიზიანა, აშშ, მცირე ანტილიასა და მასკარენის კუნძულები). ფრანგული ენის პირველი წერილობითი ცნობა „რეპტურ-რი შენიშვნები“ (VIII ს.), პირველი გამარ-თული ტექსტია „სტრასბურული ფი-ნი“ (842 წ.).

ფრანგული ენის დამწერლობა ლათი-ნური ანბანის ბაზაზე ჩამოყალიბდა (დო-აკრიტული ნიშნებისა და ლეგატურების დამატებით).

ფრანგული ენის „ეროვნული“ კარიან-ტები გააჩნია ბელგიაში, შვეიცარიაში, კანადაში, აგრეთვე აფრიკის ქვეყნებში მისთვის დამახასიათებელია თავი-სებურებები, რომლებიც ძირითადად მოელ ფონეტიკასა და ლექსიკას ეხება.

მასალა მომზადდა 1981 წ. შპს-მ

1. ნახესხები სახელები

IV

2. ორგანიზაცია ქმნილი თუ ორგანიზებული?..

ქართულში დამკვიდრებულია გამოთქმები: სრულქმნილი (=სრულყოფილი), იავარქმნილი (ლარქმული, ვარქმული, ავარქმული; იავარი=ნაფორიაქალი, ავარი=ფორიაქი-საბა).

ქმნა (ძვ.-იგივეა, რაც კეთება. მისგანაა მიღებული მიმღობური ფორმა ქმნილი (ძვ.-შექმნილი, წარმოქმნილი, გაჩენილი, გაკეთებული. გააკეთა ნიშნავს: კეთილად შექმნა (საბა).

ზემოაღნიშნულ ფორმათა (სრულქმნილი, იავარქმნილი...) ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი სასაუბრო ენაში ორგანიზაცია ქმნილი, მობილიზაცია ქმნილი, სტერილიზაცია ქმნილი, ეკრანიზაცია ქმნილი, ლეზინფექცია ქმნილი და მისი.

დღეს მართებულად ითვლება ნახესხებ სახელთა პარალელური მიმღობური ფორმები: ორგანიზაცია || ორგანიზება, მობილიზაცია || მობილიზება, სტერილიზაცია || სტერილიზება, ეკრანიზაცია || ეკრანიზება, ლეზინფექცია || ლეზინფექცირება... მათი შესატყვისი ზმნური და მიმღობური ფორმებიც ენაში ნაირგვარადაა ნაწარმოები. ერთი მხრივ, ამბობენ: ორგანიზაციას (მობილიზაციას, სტერილიზაციას, ეკრანიზაციას, ლეზინფექციას...) აკეთებს (ან ახდენს), უკეთებს; ორგანიზაცია (მობილიზაცია...), კეთდება (უკეთდება) და მეორე მხრივ: ორგანიზებას (მობილიზებას...) ახდენს; ორგანიზება (მობილიზება...) ხდება.

რადგან ქმნა-კეთება ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია, მეტყველმაც აღნიშნულ მასდასრულ გამოთქმებს ორგანიზაცია ქმნილი და მისი. მიმღობური ფორმები შეუფარდა, თუმცა ენაში გაჩნდა ორგანიზაციის წარმოების სიტყვებიც: ორგანიზებული, მობილიზებული და მისი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით მართებულად სწორედ ისინი ითვლება, მაშასადამე:

მცდარია:

- ორგანიზაცია ქმნილი
მობილიზაცია ქმნილი
სტერილიზაცია ქმნილი
ეკრანიზაცია ქმნილი
ლეზინფექცია ქმნილი

მართებულია:

- ორგანიზებული
მობილიზებული
სტერილიზებული
ეკრანიზებული
ლეზინფექცირებული

და საერთოდ: უპირატესობა, ყველა შემთხვევაში, ქართული ყალიბის მქონე (-ება დაბოლოებანი) ფორმებს უნდა მიენიჭოს.

რუსულან სალინაძე

მოსწავლეთა დასახელები

ვის ეტმასნება „აქლი ავტორი“?

იოსებ გრიშაშვილის ლექსში „ტრიო-ლეტები შეითანაზარში“ მოსწავლეებს უჭირთ აშოლანის განმარტება „და, ვით აშოლანს ეტმასნება ქალი ავტორი...“ და ამ სიტყვას შეცდომით აშუღთან აკავშირებენ (ალბათ, მასთან მკრთალი ალუზიური თანახმოვანების გამო).

აშოლანი იგივეა, რაც აშაღარი//აშაღარა, ფონეტიკურად სახეშეცვლილი, და მრუმს, მეძავს, როსკის ნიშნავს.

რას ნიშნავს ტარნები?

პაოლო იაშვილის ლექსში „წერილი დედას“ განმარტებას საჭიროებს ტარები: „პა, კინტოს პროფილი, საეჭვო ტარნები...“ რას ნიშნავს ტარნები?

ტარნების საყოველთაოდ ცნობილი გაგება აქ გამოირიცხვება (ტარანი-მრავლობითში), ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა კი მოსწავლეებმა არ იციან.

ტარნები არის შემოკლებული სახე ტავერნებისა, რაც ტავერნის მრავლობითი რიცხვის ფორმას წარმოადგენს, таверна კი იტალიური სიტყვაა და დუქანს, სამიკიტნოს ნიშნავს. ამდენად, პ. იაშვილი თაღ-

ლითი კინტოს თავშესაფრად ქცეულ სამკვი ღაჭვებზე წერს.

ამ სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებაში დაგვეხმარა ბ-ნი მიხეილ ქურდიანი, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვწირავთ

ვის ვის ვერ იმსახურებს?

აკაკი წერეთელი „გამზრდელში“ წერს, რომ აღმასხიტს „მხოლოდ ერთი ზიანხანუმი არად აგდებს, არც უყურებს, რადგან იცის, რომ სხვებსავე იმას ის ვერ იმსახურებს“. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებს ეს ადგილი ისე ესმით, თითქოს აღმასხიტს ზიანხანუმი იმიტომ არ ყყალობს, რომ ინალიფა მის სიყვარულს, თანაგრძობას ვერ იმსახურებს.

ინალიფას აკაკისეული დახასიათება ასეთი გაგების საფუძველს არ იძლევა.

მოცემულ კონტექსტში ომონიმური სიტყვა ნიშნავს არა დამსახურებას, არამედ სამსახურს, მსახურებას და საანალიზო სტროფი ასე უნდა გავიგოთ: ზიანხანუმი აღმასხიტს არად აგდებს, ზედაც არ უყურებს, რადგანაც იცის, რომ მას სხვების მსგავსად ვერ იმსახურებს, მსახურად ვერ გაიხდის, თავის სამსახურში ვერ ჩააყენებს.

როზა ლეკვარიანი

უცხო სიტყვები

უკანასკნელ ხანს ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში სასწავლო დაწესებულებების რამდენიმე ტიპი გაჩნდა და

ბუნებრივია, ახალი, ბევრისთვის აქამდე უცნობი სიტყვებიც დამკვიდრდა. ამჯერად, მკითხველს მათ ზუსტ მნიშვნელობებსა და შექმნის ისტორიებს გავაცნობთ.

გიმნაზია—ბერძნული სიტყვაა [gymnasion] და სატანვარჯიშო მოედანს ნიშნავს. ძველ ათენში ასე უწოდებდნენ სკოლას, სადაც ფილოსოფოსები და მეცნიერები იკრიბებოდნენ. მოგვიანებით გიმნაზია სახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება გახდა ძველ საბერძნეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში. იგი იყო საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი, მკვეთრად გამოხატული ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განხრით.

ევროპაში პირველი გიმნაზია 1538 წელს გაიხსნა ქალაქ სტრასბურგში, ხოლო XIX-XX სს-ის მიწაზე იგი საშუალო სასწავლებლის გაბატონებული ტიპი გახდა მთელს ევროპაში. ამ დროიდან არსებობს ორი სახის გიმნაზია: კლასიკური, სადაც ბერძნულ და ლათინურ (კლასიკურ) ენებს ასწავლიდნენ და რეალური—საბუნებისმეტყველო დისციპლინების გაძლიერებული სწავლებით. უპირატესობა და პრივილეგიები კლასიკურ გიმნაზიას ენიჭებოდა. ამჟამად უკვე უკავშირდება უნივერსიტეტს, ოთხი (რუსეთში—ექვსი) კლასით და ქალთა გიმნაზიები.

თბილისში პირველი გიმნაზია

1830 წელს გაიხსნა კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე. ქუთაისში—1850 წელს—გაეთა გიმნაზია, ხოლო 1905 წელს—ქუთაისის ქართული (დღევანდელი კლასიკური) გიმნაზია. საბჭოთა ხელისუფლების დროს გიმნაზიები სკოლებად გადაკეთდა. 1995 წლიდან კი მათ პირვანდელი სტატუსი დაუბრუნდა. ქუთაისში ამჟამად ხუთი გიმნაზია ფუნქციონირებს.

90-იან წლების დასაწყისში საქართველოში სპეციალიზებული სასწავლებლები—ლიცეუმები გაჩნდა.

ლიცეუმი—ბერძნული სიტყვაა [Lykeion] და ძველ საბერძნეთში ფილოსოფიურ სკოლას ეწოდებოდა, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე 335 წელს ათენში, აპოლონ ლიკეელის ტაძართან ახლოს, დააარსა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ. ლიკეონი ცნობილია პერიპატეტიკური სკოლის სახელით. ლიცეუმი, როგორც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულების ტიპი, დასავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნებშიც გავრცელდა. XIX საუკუნის დასაწყისში ლიცეუმები გაჩნდა რუსეთში. 1811 წელს შეიქმნა ცარსკოე-სელოს (ალექსანდრეს სახელობის) განთქმული ლიცეუმი, რომელშიც გამოჩენილი რუსი მწერალი ა. ს. პუშკინი სწავლობდა (1811-17). ლიცეუმები ყველა ქვეყანაში პრივილეგირებული სასწავლებელი იყო.

კოლეჯი—ინგლისური [college] როგორც უმაღლესი ან საშუალო სასწავლო დაწესებულება, პირველად ინგლისში გაჩნდა. იგი ხშირად უნივერსიტეტების შემადგენლობაში შედიოდა და ფაკულტეტის უფლებით ან დამოუკიდებელი იყო. პირველი კოლეჯები XIII საუკუნეში დაფუძნდა ოქსფორდსა (1249) და კემბრიჯში (1284), ხოლო როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დაწესებულება, კოლეჯი 1523 წელს გაიხსნა ლონდონში (ექიმთა სამეფო კოლეჯი). ზოგჯერ პრივილეგირებულ საშუალო სკოლებსაც კოლეჯებად მოიხსენიებდნენ (ვინჩესტერ კოლეჯი, იტონ-კოლეჯი).

ინგლისელები თავიანთი ექსპანსიის გაძლიერების მიზნით, კოლეჯებს ხსნიდნენ ამერიკაში, დომინიონებსა (ყოფილ კოლონიებში) და კოლონიებში. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ეს პროცესი ინტენსიური გახდა. კოლეჯები, როგორც ქალაქის საზოგადოებრივი და კერძო საშუალო სასწავლო დაწესებულებები გაჩნდა საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში, საუკუნის მიწურულს კი კოლეჯები საქართველოშიც შეიქმნა.

სკოლა [scole]—ბერძნულად სიტყვასიტყვით მოცალეობას, შრომისაგან დასვენებას ნიშნავს. ძველ საბერძნეთში ასე უწოდებდნენ ფილოსოფოსთა გასაუბრებას თავიანთ მოწაფეებთან. მოგვიანებით ლათინურ ენაში დამკვიდრებულმა ამ სიტყვამ [schola] სასწავლო დაწესებულების მნიშვნელობა შეიძინა.

მასალა მოამზადა სოფიო სულაბერიძემ

სიტყვათა ანიდი

Word search grid containing various Georgian letters.

№ 12-13-ში გამოქვეყნებული „სიტყვათა ანიდი“ პასუხები: მოსასხამი, აბრეშუმი, ბოქლომი, ვარამი, ნამი, (ალამი), კალამი, ლერწამი, გაღამევი, აფორიზმი, (ხალამი), ხორთუმი, წკვარამი, სანაგორიუმი, ლოგარითმი, სინდრომი, ჭკარამი, ექიმი, (ცომი), ქურუმი, კალგამი, ველოდრომი, სინონიმი, კვორუმი, ხორუმი, ღომი, (ხრამი), ბალდამი, მექანიზმი, ფსევდონიმი.

რედაქტორთა საბჭო: იოსებ იარღანაშვილი, ლია რუსაძე, რუსულან სალინაძე, სოფიო სულაბერიძე, ბარბელ უზრპარაძე (მთავარი რედაქტორი), მარინე მამარაძე, მეთევენ ყურაშვილი. მისამართი: ღმრთისმშობლის რაიონი, ლ. რუსაძის ქ. №19, ტ. 4-28-83. ელ. ფოსტა: Putkaradze@sanetk.net.ge